ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3095436

ნომერი: AR1476241

თარიღი : 06.02.2017

გაცემის თარიღი : 13.02.2017

გაცნობის თარიღი : 13.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სისხლის გადასხმის სადგურის ღობესა და სასაფლაოს ფერდობს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის

05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1476241 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.14.03.040.148) მისასვლელ გზასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:
ვინაიდან არქიტექტურის სამსახური მიერ ვერ ხდება თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულამდე მისასვლელი გზის დაფიქსირება, იმისათვის რომ სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული მისასვლელი გზის სქემატური ნახაზი, ზომების მითითებითა და ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონების გათვალისწინებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.